№ 187 სექტემბერი 4, ხუთშაბათი 1892 სექტემბერი 4, ხუთშაბათი № 187


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, გუკიაში, აფშალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



## „ივერია"

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.



ვისაც ჰსურს ქართულ თეატრში სამსახური ამ მომავალ 18^92/_93 წ. სეზონში კეთილ ინებონ და მიჰმართონ ბ-ნ ვასილ სულხანიშვილს.

ტფილისი, რეუტოვის ქუჩა, № 10. ყოველ დღე, საღამოს 6—7 საათზედ.

(10—3)


ტფილისი, 3 სექტემბერი

ვინ არ იცის, რა ძალუმი და ყოვლად შემძლეა გაუნათლებელს სოფელში სოფლის მწერალი? მამასახლისიდგან მოკიდებული უკანასკნელ მეკომურამდე ყველა სოფლის მწერალის ყურ-მოჭრილი ყმაა, იგია სოფლის ბედის ჩარხის დამტრიალებელი; მწერალს, რაცა ჰსურს, ისა კეთდება, როგორც უნდა, ისე იწყება ყოველი საქმე და იმისისავე სურვილისამებრ თავდება. სოფლის მწერალი სოფელში პირველი კაცია, რადგან მარტო იმან იცის „კანონი", მარტო იმას შეუძლიან კალმის მოსმა და „ლაპორტის" დაბღაჯვნა. ის რომ არ იყოს, სოფლის სასამართლო ვერ ისამართლებდა, რადგან გაანაჩენის დაწერას ვერ მოახერხებდა. მერე რა განაჩენებია! ხშირად უაზრო, ბუნდად დაწერილი, სასაცილო, უსაბუთო და ხანდახან მოხერხებითაც შედგენილი.

მერე როგორ მოხდა, რომ სოფელს მთავრობამ ასეთი წურბელა მოახვია თავსა? სულ უბრალოდ. როცა ბატონ-ყმობა გადავარდა და სოფელს თვით-მმართველობა მიანიჭეს, საჭირო იყო სოფლისათვის კალმის კაცი, ანუ მწერალი. კალმის კაცები-კი მაშინდელს დროს რუსეთში ძალიან ცოტანი გახლდნენ არამც თუ სოფელში, არამედ თვით ქალაქებშიაც. მაშ რა ექმნა სოფელს, სად ეშოვნა კარგი ნასწავლი, სინიდისიანი და პატიოსანი კაცი. არსად. რადგან მიწერ-მოწერა აუცილებელი საჭიროება იყო, სოფელიც ირჩევდა მწერლად ყველას, ვინცკი შეხვდებოდა და ვინც კალმის მოსმა იცოდა; რასაკვირველია, არჩევანსა და ძიებაში არ შედიოდა, ამორჩეული კაცი რა ზნეობისაა, რა ცოდნისაა, ან გამოდგება ახალს თანამდებობაზედ, თუ არაო.

ამის გამო სოფლის მწერლებად შედიოდნენ სამსახურიდგან გამოგდებული მოხელენი ან სიმთვრალისთვის, ან ქრთამის გულისთვის და სხვა ამ გვარ ცუდკაცობისათვის. უეჭველია, ასეთი მოღვაწენი დიდს ხეირს არ დააყრიდნენ ახლად განთავისუფლებულს სოფელს და აგი არც დააყარეს.

სამწუხარო მდგომარეობას სოფლისას ამ მხრივ უსათუოდ ბოლო უნდა მოჰღებოდა და ვგონებთ მოეღოს კიდეც, რადგან, როგორც გაზეთები იუწყებიან, შინაგან სამინისტროს ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისათვის და ჰსურს ძირეულად შესცვალოს სოფლის მწერლების შტატები. სხვათა შორის განზრახვა აქვთ, სოფლის მწერალი სახელმწიფო სამსახურში ჩაირიცხოს და ამის გამო პასუხის-მგებელიც გახდეს კანონის წინაშე.

რაც ამ ოც-და-ათის წლის წინად შეუძლებელი იყო, ეხლა ადვილი მოსახერხებელია. მაშინ თუ წერა-კითხვის მცოდნენი ძალიან ცოტანი იყვნენ, ეხლა ხშირად უსაქმურად დასეირნობენ უნივერსიტეტ დამთავრებული იურისტები. კანონმა რომ შესცვალოს სოფლის მწერლის გარეგანი მდგომარეობა. „პრესტიჟი" მოუპოვოს, მიანიჭოს ის, რაც შეეფერება მის ღირსებას, როგორც ადგილობრივი მმართვა-გამგეობის მოხელეს, მაშინ მრავალი განათლებული კაცი და სწავლა-დამთავრებული იურისტი სიხარულით წავა სოფლად და იქ მხნედ და ერთგულად იღვაწ-იმუშავებს. ეხლა თუ სათაკილოა სოფლის მწერლის სახელი, მაშინ საპატიო იქნება ამ სახელის ტარება. ან-კი ვის არ იამება სოფლად ოფლის დაღვრა, ვიდრე ქალაქის განცელიარებში ამორჩობა.

ამის გამო სიხარულით ვეგებებით მთავრობის განზრახვას, რომელსაც მოუსურვებია ასე თუ ისე დაიხსნას სოფელი უსინიდისო მწერალისაგან, ამასთანავე არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ სამწუხარო იქნება, თუ სოფლის მწერლები სრულიად მთავრობის მოხელეებად გადიქცევიან და სოფელს ჩამოერთმევა უფლება მათის ამორჩევისა. ჩვენის აზრით, ეს უფლება უსათუოდ უნდა ჰქონდეს სოფელს, რომ შეეძლოს რიგიანი, თავისი კაცი ამოირჩიოს, მხოლოდ მის უფლების გამორკვევა და სამსახურისთვის დაჯილდოვება-კი მთავრობას უნდა ჰქონდეს მინიჭებული.

ა. ფრონელი

### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

მაჰმადიანთათვის აგებულ დროებით ფარდულში მორჩა ხოლერით ავადმყოფი ქულფარა-ჯალლა-ვერდი-ოღლი; ავადმყოფი აღარავინ არის.

პირველ სექტემბერს ავად გახდა და სახლში სწამლობენ სოფიო კაპარაშვილი. (ნავთლუხი, სალ. ბალდასაროვისა).

თელავის მაზრის უფროსი იუწყება, რომ ს. ძველგავაზში ავად გახდა ხოლერით 5.

ახალქალაქის მაზრის უფროსი იუწყება: 31 აგვისტოს სოფლად ავად გახდა 10, გარდ. 6, მორჩა 30; დარჩა 48; ქ. ახალქალაქში იყო ავად 7, ავად გახდა 18, გარდ. 15; დარჩა 10. 1 სექტემბერს სოფლად ავად გახდა 15, გარდ. 1, მორჩა 18, დარჩა 44. ქალაქში ავად გახდა 8, გარდ. 5, დარჩა 13.

სიღნაღის მაზრის უფროსი იუწყება: „თელა-წყალში" რომ ორი ავადმყოფი იყო, იმათგან ერთი გარდაიცვალა და ერთი მორჩა. ხოლერა გაჩნდა „თელა-წყალში" 9 აგვისტოს, 29 აგვისტომდე ავად გახდა 47, გარდ. 22.

გორის მაზრის უფროსი იუწყება: ს. კარბში გახდა ავად 7, გარდ. 5, დარჩა 2; ს. ტყვიავში ავად გახდა 7, მორჩა 4, გარდ. 2, დარჩა 1; ს. ცხინვალში ავად გახდა 1, გარდ. 1.

## ახალი ამბავი

*** სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და მასთან საბრძოლველად მოგვივიდა ბათუმში ბ-ნ გ. მაჭავარიანისა და ი. მ. კახიანის თაოსნობით შეკრებილი 6 თუმანი და 8 მანეთი. ამ ფულისა გვქონდა 768 მან. 15 კაპ., ამითი შესდგა 836 მან. 15 კაპ. აქავე ვბეჭდავთ ბათუმელ შემომწირველთა ნუსხასაც.

აზნ. გიორგი დ. მაჭავარიანი 3 მან.,

## ფელეტონი

### ჩვენი სოფლები ხოლერობის დროს

ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორ ატარებს თავის დღეებს უმეტესი ნაწილი სოფლის მკვიდრთა საზოგადოდ და კერძოდ ჩვენში, გლეხი წლიურის შემოსავლით სცხოვრობს. ამით იგი ასაზრდოებს თავის თავს, მთელს ოჯახობას უძღვება, სხვა-და-სხვა სახელმწიფო, თუ ადგილობრივს ხარჯს ისტუმრებს, ერთის სიტყვით, უკეთესს გარემოებაში იგი იკმაყოფილებს მხოლოდ უპირველეს მოთხოვნილებათა. ეს არის და ეს. ამ საჭიროებათა დაკმაყოფილების იქით სულს გარდა, აღარაფერი მოეპოვება იმისთანა რამე, რომ ყოველ დროს ყოველგან შეეძლოს სასურველის ნივთის შეძენა, ესე იგი არა აქვს ფული, შინ თუ გარედ შენახული თანხა, რომ მოულოდნელ საჭიროებისათვის გამოიყენოს. და ამისთანა შემთხვევებში სწორედ შესაბრალისია: არა ერთხელ ხდება მსხვერპლი დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებისა, ან თუნდაც რომ მოუაროს თავი როგორმე ახალ მოთხოვნილებას და გაუძლოს ახალს ხარჯს, ეს ისე დიდ ტვირთად აწვება, რომ ამას შემდეგ რამდენიმე წელიწადია საჭირო, რომ უწინდელებრ სული მოიბრუნოს და ზურგი გაიმაგროს. ამისი კარგი მაგალითი—შარშანდელი სიმშილია რუსეთში. თუმცა რუსეთმა, როგორც იყო, დააღწია თავი სიმშილს, მაგრამ ვინ არ იტყვის, რომ წარსულ წლის უბედურების კვალი ჯერ კიდევ კაი ხანს ექმნება დაჩნეული რუსეთის კეთილდღეობას. ეხლანდელ გლეხის ეკონომიური მდგომარეობა იმით განირჩევა პირველ ყოფილ კულტურის კაცისაგან, რომ პირველს კარგად აქვს შეგნებული დიდი მნიშვნელობა სათადარიგო თანხისა, ხოლო უკანასკნელი ამ მცნებასაც სრულიად მოკლებული იყო: რასაც დღეს იშოვიდა, დღეს შესჭამდა, ხვალის ნაშოვარს—ხვალ და ასე ამ გვარად სახვალიო საზრდოს არ მისდევდა, მომავალისათვის არას ზრუნავდა და, ამ სახით, სრულიად დამოკიდებული იყო უბრალო შემთხვევისაგან. მაგრამ პირველს მეორესთან ის აქვს საერთო, რომ თანამედროვე გლეხს ერთი წლის მოსავალი იმდენს არას აძლევს, რომ კიდევ რაიმე გადაარჩინოს თავის და ოჯახის სარჩოს: ასე რომ, პირველ ყოფილ კაცის მზგავსად, ყოველთვის ხელ-ცალიერი არის, მეტი ფული არ მოეპოვება ახალ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ეს პატარა წინასიტყვაობა ჩემთვის საჭირო იყო, რათა მეთქვა, რომ დღეს ამ ხოლერობისას, ამ არა ჩვეულებურ შემთხვევის დროს, როგორ უნდა გაუძლვეს სოფელი ახალს ხარჯს, როდესაც თითონაც არაფერი გააჩნია, როგორ უნდა შეუდგეს თავისის თავის დაცვას, თვით ბრძოლას ხოლერასთან, როდესაც როგორც ზემოდ ვსთქვით, მეტი ფული არ მოეძევება? არამც თუ მეტი, ბევრი სოფელთა შორის თავის ჩვეულებრივს შემოსავალსაც კი მოკლებულია იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე დღევანდელი სენი მთლად ფეხს არ აიღებს ჩვენიდგან. წინად ზოგს მიწის ნამუშევარი მიჰქონდა ქალაქში, ზოგს ათასნაირი ხილი დასხ., ეხლა-კი შიშით შეპყრობილი სოფლელი შემწყდეულა სოფელში და ქალაქს აღარ ეკარება იმ აზრით, რომ იქ ჩასვლა ხოლერას დამმართებსო. ხილის შემომტანს-კი კიდეც რომ ჰსურდეს ქალაქში ჩამოსვლა, სრულიად გზა შეკრული აქვს, რადგან ჩამოიტანს თუ არა ხილს ქალაქში, მაშინვე გადუყრიან. აქვე შევნიშნავ სხვათა შორის, რომ სოფლებიდგან შემოსავალთა რიცხვის შემცირებამ ასწია ფასები ამ ბოლო დროს სხვა-და-სხვა ხორაგეულობისა და სანოვაგისა ჩვენს ქალაქებში.

რაღა საკვირველია, რომ თითონ სოფლელებმა—გლეხობამ დიდად არ გამოიდოს თავი ხოლერასთან ბრძოლისათვის, როდესაც ნივთიერი ძალღონე არ შესწევს! მით უფრო ვერ დავდევთ ბრალს ჩვენს სოფლებს, რომ ხარჯი, რომელიც საჭიროა როგორც წინად, ესე იგი ვიდრე ხოლერა თავისს კლანჭებს მოსდებდეს ვისმე, აგრეთვე თვით ავადმყოფობის დროს, საკმაოდ შესამჩნევია გლეხის შესუსტებულ ჯიბისათვის. გლეხს ეუბნებიან, ეზო-გარემო გასწმინდეო, სადეზინფექციო წამლები იყიდე და სახლებსა და სხვა საექვო ადგილებს ასხურეო; იმასვე ურჩევენ, ავად რომ გახდე—ექიმი მოიწვიეო; დასასრულ, გლეხსავე ავალებენ, რომ თუ ვინმე მოგიკვდეს ოჯახში ხოლერითა, მაშინვე ყოველი მისი კუთვნილება დასწვიო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ იმაზედ-კი თითქო არავინ არ ჰფიქრობს, თუ რა გზით შეუძლიან ყოველი ეს აასრულოს გალატაკებულმა და ილაჯ-გაწყვეტილმა გლეხმა, ანუ სოფლის ღარიბმა. შეუძლებელის შეძლება ყველასათვის ძნელია. აბა სად შეუძლიან გლეხს მოსცდეს და დაჰკარგოს ეხლა მისთვის ძვირფასი დღეები და შეუდგეს თავისის კარ-მიდამოს გასუფთავებას ნაგვისა და საქონლის პატივისაგან, რომელიც წლითი-წლობამდე გროვდება და მთელს მთებს წარმოადგენს? ან რა ფულით იყიდოს წამლები, მიჰმართოს მკურნალს და სხ?

თუ ყოველივე ეს მივიღეთ მხედველობაში, იმ არა სანუგეშო დასკვნას დავადგებით, რომ თვით სოფელი უსაშუალო არის ხოლერასთან ბრძოლისათვის. აი ამიტომაცაა, რომ ბევრი სოფელი დღევანდელ გაჭირვების დროსაც-კი უარს ამბობს ექიმის მოწვევისას. მერე რა არის განა ამისი მიზეზი? ჩვენის ფიქრით, არა იმდენად უგუნურება და ურწმუნოება წამლისა და ექიმისა, რამდენადაც ის გარემოება, რომ გლეხი, ისეც სხვა-

აზნ. ივანე მ. კახიანი 3 მან., აზნ. იაგორ იოსელიანი 2მან., იორამ გვარჯალაძე 3 მან., კოსტ. ან. საბაიევი 3 მან., ექვთიმე ბექაია 1 მან., ზუზუნა ცინცივაძე 1 მან., სტეფან ს. გიორქოვი 1 მან., იაკობ გ. სეხნიევი 1 მან., ნიკო ი. ჩუბინიძე 3 მან., დომენტი გაბუნია 1 მან., ხუსკინ კეფენდი კარა ზადე 1 მან., არსენ ხ. სანიკიძე 1 მან., ფრიდონ ს. ნადირაძე 1 მან., დათიკო გამყრელიძე 1 მან., კოსტ. ი. მიქაძე 1 მან., ალექსი ი. მუმულაძე 1., ნესტორ ანთაძე 1 მან., ავქტიკ მუნდოევი 1 მან., ევგენია მანთვორია 1 მან., სამოველ ქადიაშვილი 1 მან., თემრაზ ივანეს ძე ცაცხანი 1 მან., გერასიმ მიქელის ძე სანაძე 1მან., იაგორა გიგაშვილი 1 მან., ივანე დავითის ძე კაკაბაძე 2 მან., გრიგორი დანიელოვი 1 მან., ექვთიმე კას. გეურიძე 1 მან., სამსონ დიასამიძე 1 მან., კოსტ. კაჩარავა 1 მან., ერმალოზ კალატოზოვი 1 მან., იოსებ რატიანი 1 მან., მიხეილ დ. იავაშერიძე 1 მან., სიმონ გ. ნებსაძე 1 მან.. პეტრე მღებროვი 20 კაპ., ნერსეს ი. გაბრიელოვი 50 კაპ., თედორე კაჩარაძე 50 კაპ., ლუკა გუმბურიძე 50 კაპ., იოსებ ჯარაქია 50 კაპ., ივანე ნოდია 50 კაპ., ექვთიმე ვიკენიძე 50 კაპ., ზესო მისიძე 50 კაპ., ანტონ ქილმაძე 50 კაპ., კარგო ერისთავი 20 კაპ., მ. კვირცხოვი 50 კაპ., ფარსადან სანაძე 50 კაპ., ნ. ა. ღოღობერიძე 50 კაპ., კოსტა კაკაბაძე 50 კაპ., ვარდან იჩალიძე 20 კაპ., ივან ჭკანტურია 50 კაპ., ანტონ ნადირაძე 50 კაპ., მოსე ყიმშიძე 50 კაპ., იაგორ ოსკანოვი 50 კაპ., იოსებ ალმანოვი 50 კაპ., გრიგოლ როსტომოვი 50 კაპ., მელიტონ ო. გოგორიშვილი 1 მან., ლომინაძე და ბერძენიშვილი 5 მან., იულო დუმბაძე 2 მან., ნ. საბაიევი 3 მან., ილიკო ხარებაძე 1 მან., ფ. ფილიპოვი 2 მან., სულ 68 მანეთი.

*** განჯის გუბერნიაში 30 ავგისტოს ხოლერით ავად გახდი 77, გარდ. 45, ავად არის 55.

ერივანში 28 და 29 ავგისტოს ავად გახდა 4, გარდ. 4, მორჩა 2, ავად არის 13; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 185, გარდ. 176, მორჩა 58, ავად არის 202.

შურაში 30 ავგისტოს მორჩა 2, ავად არის 2; მთელს ოლქში ავად გახდა 166, გარდ. 51, მორჩა 103, ავად არის 500.

ყარსში ავად გახდა 7, მორჩა 11, გარდ. 7, ავად არის 50; შურაგელისა და ნახიჩევანის ნაწილებში ავად გახდა 17, მორჩა 17, გარდ. 3, ავად არის 47.

სტავროპოლში 28, 29 და 30 ავგისტოს ავად გახდა 18, გარდ. 11, მორჩა 18; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 453, გარდ. 245, მორჩა 343.

ზაქათალის ოლქში ავად გახდა 2, მორჩა 3, გარდ. 4, ავად არის 24.

*** ტფილისის კადეტთა კორპუსში მისაღები ეგზამენები 1 ენკენისთვიდგან დაიწყო.

*** ტფილისის ქალაქის მორიგი კრებები ორშაბათს, 7 ენკენისთვეს, დაიწყება.

*** როგორც შევიტყეთ, საზამთრო სეზონს ქართული დრამატიული დასი ამ სექტემბრის 20-ში დაიწყებს. არტისტები უკვე თავ-მოყრილნი არიან და 10 სექტემბერს რეპეტიციები დაიწყება კიდეც.

*** თუმცა ბევრს ვლაპარაკობთ და ვლალადებთ სისუფთავეს, მაგრამ თითქოს ეს ლალადისი უდაბნოსა შინა გაისმოდეს და არა გონიერ ადამიანთა მიერ დასახლებულს ქვეყანაშიო, ყურს არავინ იბერტყავს. წარმოიდგინეთ, მეპურეები ღამე იმ დაზგაზედ იძინებენ, რომელზედაც მეორე დილით პურს აწყობენ, ჰფენენ და ჰყიდიან. ამას ყველა ადვილად დარწმუნდება, საჭიროა მხოლოდ ღამე როდისმე გაიაროს მეპურეებისაკენ და შეიხედოს. ასეთი ამბავი სწარმოებს მიხეილის ქუჩაზედაც-კი, სადაც ხალხი გათენებამდე მიდის-მოდის და მოძრაობაშია. ნუ თუ დრო არ არის, ამ საძაგლობას ბოლო მოეღოს და მეპურეების უჯიშო საქციელი აილაგმოს?!.

*** 31 ავგისტოს, საღამოს 9 საათზედ, ტფილისის მე-9 ნაწილის პოლიციაში მივიდა ბებია ევგენია ვასილის ასული სიმპლიცკაია და შემდეგი ამბავი გამოაცხადა: „29 ავგისტოს ჩემთან მოვიდა უცნობი ახალგაზდა ქალი და მთხოვა, საბებიო სახლში მიმიღეო; თავის ვინაობა არ მაუწყა, მხოლოდ დაბეჭლილი წერილი გადმომცა და მითხრა, ამ წერილში ჩემი მოწმობა არისო. ცოტა ხნის შემდეგ ამ ქალს მუცელი წაუხდა და 31 ავგისტოს ღამის სამს საათზედ გარდაიცვალა კიდეცაო.“

დაბეჭდილი წერილი გახსნეს და შიგ არავითარი მოწმობა არ აღმოჩნდა. განსვენებულის გვამი საანატომიო თეატრში გასჭრეს და შეამოწმეს მკურნალებსა, გაუდელინისა, მალიუჟენკოს, მარტიროსიანცისა, ბარტოლდისა, გამომძიებელის კუზმინისა და ბოქაულის კუზმინსკის თანდასწრებით. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მშობიარე ოთხი თთვეა რაც ფეხმძიმეთ ყოფილა და მუცელი ძალათ ჰქონია წახდენილი. გარდაცვლილის გვამს საბებიო გაზისაგან ნიშნები ეტყობოდა. გამოძიებამ აღმოაჩინა აგრეთვე, რომ განსვენებული ერთს მოხუცს დედაკაცს მიუყვანია სიმპლიცკაიასთან. ამ დედაკაცის ვინაობა ჯერ ვერ შეუტყვიათ. აღმოჩნდა კიდევ, რომ გარდაცვალებულის საბებიოში ყოფნის დროს, იგი ერთმა ყმაწვილმა კაცმა ინახულა და კამფეტები მოუტანა. ვერც ამ კაცის ვინაობა შეუტყვიათ. სიმპლიცკაიას სახლში ისეთი წამლები იპოვნეს, რომლების შენახვის ნება არავის არ აქვს მკურნალის უმოწმობოდ. გარდაცვალებულის ვინაობაც ჯერ ვერ შეუტყვიათ.

*** 3 ენკენისთვიდგან ქალაქის გამგეობამ შემდეგი ნიხრი დააწესა: ძროხის ხორცი 1-ლი ხარისხისა გირვანქა 7 კაპ. სუკი—გირვანქა 12 კაპ. ცხვრის ხორცი გირვანქა 7 კაპ.

*** ქალაქის გამგეობის უკანასკნელმა კრებამ გადასწყვიტა, შემცირებულ იქმნას სასანიტარო დასები. დათხოვნილ იქმნენ: ხოლერიანთა სამკურნალოს ორი მკურნალი: ი. ხ. ადამიანცი, გ. გ. გელულიანცი და რამდენიმე სანიტარი. იმის გამო, რომ ქალაქის მიერ გადადებული ფული ხოლერასთან საბრძოლელად უკვე დაიხარჯა, ორშაბათს, 7 ენკენისთვეს, დანიშნულია კრება ქალაქის საბჭოსი, რომელიც განიხილავს მოხსენებას, თუ რამდენი ფული გადიდოს კიდევ იმ მკურნალთა და სანიტართა ჯამაგირისთვის, რომლებიც შემცირებულს დასებში იმყოფებიან.

*** ჩვენ მივიღეთ ორი ახალი ქართული წიგნი: „სურათები ჩვენის ხალხის ცხოვრებიდგან“, დუტუ მეგრელისა და „დედა-შვილის თავ-გადასავალი“ ე. დე—აძისა. წიგნები დაბეჭდილია ქუთაისში ახლად დაარსებულის ამხანაგობისა. დუტუ მეგრელის მოთხრობანი ჩვენს გაზეთში იბეჭდებოდა ფელეტონებად და ეხლა ერთად შეკრებილნი პატარა, მაგრამ მშვენიერ წიგნაკს შეადგენენ. დაბეჭდილია სუფთად და ლამაზად. წიგნი ღირს სულ ექვსი შაური, მეორეკი სამი.

*** ბეჟათუბნის საზოგადოება: ბეჟათუბნის საზოგადოების კანცელარიაში სოფლის მოსამართლეები („სუდიები“) კაი ხანია არავითარს საქმეს აღარ არჩევენ. საქმეების გარჩევა ერთის თვის ვადით არის გადადებული და ამიტომ ბევრი სამართლის მძებნელი გლეხი გაჭირვებულს მდგომარეობაშია.

*** სოფ. აცანა (ოზურგეთის მაზრა): თუმცა ჯერ-ჯერობით ხოლერას გადავურჩით, მაგრამ, საუბედუროდ, რევოლვერის ტყვია და ბასრი ხანჯალი ხოლერაზედ უარესს დღეს გვაყენებს. საქმე იმაშია, რომ 23 ავგისტოს ერთს ჩვენი სოფლის აზნაურთაგანს ჰქონდა ქორწილი, რომელსაც კაი ძალი ხალხი დაესწრო. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი კაცი ამისთანა შემთხვევას ისე არ დაესწრება, თუ არ მორთული „სილაღით“, ესე იგი რევოლვერით, ხანჯლითა და სხვა იარაღით. მთელი ღამის ქეიფის და ღვინის სმის შემდეგ მოწვეულებმა, იმის მაგიერ, რომ შინ მშვიდობით წასულიყვნენ, რევოლვერის ტყვიისა და ხანჯლის სიმახვილე ერთმანეთზედ სცადეს, თითქო ბრძოლის ველზედ ყოფილიყვნენ, რასაც შედეგად ის უბედურება მოჰყვა, რომ სამი ცოლშვილიანი კაცი სასიკვდილოდ დაჭრილ-დასახიჩრებულ იქმნა.

*** ს. მარტვილი (სენაკის მაზრა): როგორცა მგონია, ჩვენი მარტვილი აშორდება დაუპატიჟებელს სტუმარს—ხოლერას. თავზარი დაგვეცა, როდესაც გავიგეთ, რომ ქუთაისში ხოლერააო. გვეგონა, უთუოდ ჩვენც გვეწვეოდა, მაგრამ ჩვენ არ დაგვიპატიჟნია და დაუპატიჟებლად-კი მან არ იკადრა ჩვენთამ მობრძანება. შენი მტერია, რომ გვწვეოდა, ერთიან გავწყდებოდით. არც სისუფთავეს, არც ხოლერის წინააღმდეგ დარიგებას კაცი ყურს არ უგდებდა: გლეხ-კაცობა ამბობდა: „რაღაც „ბასილააო“, ის მე რას მიზამსო. ჩვენს დუქნებში ისეთი უწმინდურობა არის, რომ მგონია თვით აქ თავის თავად გაჩნდეს ხოლერა. წარმოიდგინეთ ცხენებს დუქნის წინ ბოძებზედ აბამენ, სადაც დგება ცუდი სუნი და ჰაერი ფუჭდება. ღამით დუქნების ქუჩაში ვერ გაივლი, ისე ბნელა. არც ფარნებია და არც არავითარი სინათლე რამ. უწინდელმა პოლიციის ბოქაულმა გააკეთებინა ფარნები და მის დროს მარტვილში სინათლე იყო, მაგრამ შემდეგ ეს ფარნებიც და სხვა სინათლეც მოისპო. ფარნების ბოძები ისეა ატუზული, კაცმა რომ შეხედოს, სიბრალული მოუვა. არ იქნება ურიგო, ვისდამი ჯერ არს, ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს. როგორც გამიგონია, ჩვენს დაბას უნდა ჰქონდეს ბანკში სამი ათასი მანეთი და ამ სამი ათასის მანეთის სარგებელი მაინც გამოეგზავნოს ჩვენს დაბას, რომ ქუჩების განათებას მოახმაროს ეს ფული. ჩვენი სოფლის მამასახლისი თავ-გამოდებით მეცადინეობს დააარსოს ჩვენს სოფელში ორ-კლასიანი ნორმალური სკოლა.

*** იქიდამე: ჩვენში რაღაც სნეულობა „მუცელა“ გაჩნდა, სიკვდი-

---

და-სხვა გარდასახადით ძალზედ დატვირთული, ახალ ხარჯს ერიდება. აი ამის წინად „ივერიაში“ კორრესპონდენტები იწერებოდნენ სოფლებიდგან, რომ რამდენმამე სოფლებმა, როდესაც გაიგეს, რომ ექიმს ჯამაგირად ამდენი და ამდენი ფული სჭირიაო, მთლად უარი განაცხადეს ექიმის მოწვევაზედაო; ზოგგან სოფლის მკვიდრნი თვით ავადმყოფობას ჰმალავენ, რა არის საექიმო ფული არ გარდაგვხვდესო და სხ. რასაკვირველია, ყოველს ამ შემთხვევაში სოფლელთა უმეცრებასაც დიდი გავლენა აქვს, მაგრამ ამასთანავე იმათს სიღარიბესა და უფულობასაც არა უკანასკნელი ადგილი უკავია. ამ გვარივე შიში ახალ გარდასახადის გაღებისა გლეხს უარს ათქმევინებს ხოლმე სწავლა-განათლებაზედაც-კი, თუნდაც რომ ღრმად სწამდეს მისი დიადი მნიშვნელობა.

ვსთქვათ, ყოველ სოფლის გაჭირვებულ მკვიდრს უფასოდ დაურიგეს სადეზინფექციო წამლები, არაფერი დაახარჯვინეს მკურნალების მოწვევისათვის და ერთი-ორად აღუდგინეს კიდეც ხოლერით დაზარალებულთ დამწვარ-დაკარგული. მაგრამ განა ამ წამლების ყიდვისათვის, მკურნალების მოწვევისათვის, დაზარალებულთა დაჯილდოებისათვის საჭირო არ არის ფული?

ამ გვარად, ასე თუ ისე, ჩვენს სოფლებს ესაჭიროებათ ნივთიერი შემწეობა და შემწეობა არა მცირე. ჩვენ წინა წერილშიაც (იხ. № 146) ვსთქვით, რომ ხოლერასთან გამარჯვებული ბრძოლა ნივთიერ ღონისძიებას, ცოდნა-დარიგებას და სხვ. თხოულობსო. ეხლა არას ვიტყვით ამის შესახებვე, რადგან წინად უკვე წარმოვსთქვით ჩვენი აზრი, თუ ვის მოვალეობას შეადგენს ცოდნა-დარიგების გავრცელება და ან რა სახით უნდა გავრცელდეს იგი. მივუბრუნდეთ მხოლოდ პირველ საკითხავს—ნივთიერ ღონისძიებას. აქ მთავრობის მიერ გადადებულ სუფსიდიაზედ სჯა მეტად მიგვაჩნია და ამიტომ ჩვენც მხარს ავუქცევთ ამ საგანს, შევეხებით მხოლოდ კერძო ქველ-მოქმედებას.

ჯერ ერთი, უნდა განვაფართოოთ დღევანდელი ქველ-მოქმედება, თუ გვინდა, რომ ნამდვილი სამსახური გავუწიოთ სოფელს. ის შემოწირულებანი, რომელიც შეკრებილია და ეხლაც გროვდება ჩვენ ქალაქებში, თვით აქ მცხოვრებთათვისაც არა კმარა, არამც თუ სოფლებსაც გაუძლევს. განსაკუთრებით სოფლის ღარიბ ხალხის ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ შეგროვილი ფული ისე მცირეა, რომ ორი და სამი იმდენითაც თითქმის ვერას გავაწყობთ. ვიმეორებ, საჭიროა თავის გამოდება და ყველას მონაწილეობა შეძლებისამებრ. განა ცოტა საშუალება არის ამ სახალხო საქმის გაძღოლისათვის? ნუ დავიშურებთ ნურაფერს, მივეშველოთ დაუყონებლივ ყველანი ვისაც რითი შეგვეძლოს, სიტყვით, მოქმედებით, ნივთიერ ღონისძიებათა მიწოდებით... სიტყვები „მე თუ არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო“ — ვისთვის რა საკადრისი ყოფილა, რომ ჩვენთვის სასიქადულო და სახელმძღვანელო გამოდგეს. არა, ნუ ვიზამთ ცუდს, ნუ ვუმტყუნებთ ჩვენს გულუხვობას და ნუ მივეცემით სულ-მოკლეობას...

ხოლერა იგივე სიმშილია. თუ დამშეულს დროზედ არ მივაწოდეთ პური, სიკვდილი იმსხვერპლებს. ასეთივეა ხოლერა. თუ ხოლერით ავადმყოფს ან ჯერ მით ავად არა მყოფს, არ მივხედეთ დროზედ, ულმობელი სიკვდილი იმასაც შეიპყრობს. ორივე შემთხვევაში საჭიროა თადარიგი. თადარიგის მიღება-კი შეიძლება მაშინ, როდესაც საკმაოდ იქმნება შეკრებილი ფული სახალხო საქმის გასაძღოლად.

მე და შენ, მკითხველო, ბევრჯელ ისე შეუმჩნევლად და გულ-გრილად გადავფურცლავთ ხოლმე გაზეთებს, თითქო არსად არაფერია, ყველა ჩვენსავით დაკმაყოფილებული გვგონია. აბა, ერთი ვცადოთ და შევიტანოთ ჩვენს დღიურში ყოველი ჩივილი და ვაება სოფლებისა, რა დიდი მატიანე მჭმუნვარე ამბავთა შეგვრჩეს ხელში. სტატისტიკური ცნობები უკეთესი მაჩვენებელია ჩვენის მდგომარეობისა. ჩვენთვის ის პატარა რიცხვები, რომელნიც გვიჩვენებს სოფლებში სიკვდილის რაოდენობას, დიდს დასაკლისს შეადგენენ. იმისთანა პატარა ერს, როგორსაც წარმოვადგენთ ჩვენ, მცირე რამ ეყოფა ხოლმე... აი ასეთია ყოფა იმათი, რომელნიც თავისის სულის წუხილს და გულის თქმას ვერავის ატყობინებენ და მხოლოდ თავის გულშივე აქვთ დამალულ-ჩათხრობილი.

მეორე საგანი არის შემოწირულებათა წესიერად დანაწილება გაჭირვებულთა შორის. ჩვენ რომ მივმართოთ ხოლმე მაგალითისათვის რუსეთს და ვისარგებლოთ მისის ცდით, ვგონებ, მეტი არ იქნება. შარშან სიმშილის დროს პირველ ხანს ვიდრე ხალხის საზრდოს საქმე კარგათ მოეწყობოდა, მრავალი შემოწირულებანი სად და სად არ იფანტებოდა უწესურიგოდ, ბევრნაირ ჯურის-კაცის ხელში ამოჰყოფდა თავს, ასე რომ ბევრმა „არა დამშეულმა“ გაივსო ჯიბე დამშეულთა მოსახმარებელს ფულით, ამ უკანასკნელთ-კი რომელთათვის იკრიფებოდა ფული, ბევრი აღარაფერი ხვდებოდა. ამის თავიდგან ასაცილებლად ძლიერ კარგი იქნება, რომ ამ ხოლერობის დროს ეხლავე დაარსდეს მოთავე კომიტეტი ტფილისში და მისი განყოფილების ყოველ საგუბერნიო თუ სამაზრო ქალაქში, და ესენი ჰპატრონობდნენ და განაგებდნენ ხალხის შემწეობის საქმეს. ეს კომიტეტები უნდა ჰზრუნავდნენ ფულის შეკრებას, უკეთ მოაწყონ შემოწირულებათა განაწილების საქმე და სხ. ამ სახით, ერთის მხრით გაუადვილდება მდგომარეობა ნივთიერად შეუძლებელ ნაწილს ხალხისას—სოფლებს და მეორეს მხრით შემწეობის მიმცემი დარწმუნებული იქნება რომ ჩემ მიერ შეწირული უბრალოდ არ იკარგებაო.

გრ. გველესიანი

ლით ჯერ ბევრი არავინ მოუკლავს. მოსავალს ჩვენკენ ძლიერ კარგი პირი უჩანს გარდა „ადესის“ ღვინისა.

*** ტომსკი: ტომსკი კუკიაზედ ცოტაოდნად ნაკლები ქალაქია. გვერდზედ სანაოსნო მდინარე ტომი ჩამოუდის. მცხოვრებნი რუსები და თათრები არიან. 5% მცხოვრებთა გამოციმბირებულ-გადმოსახლებულები არიან. საპატიმრო მგონი ათია აშენებული და პატიმრებით სავსე. ქუჩებში მტვერი სწორედ კოჭებამდე მოადგება კაცს. არც ტროტუარები და არც ქუჩები არ არის დაფენილი ქვითა, აქა-იქ მხოლოდ ფიცრებია დაგებული და ისიც მეტის-მეტად დაფუცუნებულ-დამპალი. სახლები თითქმის სულ ხისა არის; ქვითკირის შენობას ძლიერ იშვიათად შეჰხვდება კაცი. აქაური სიმდიდრე ტყე და თევზია. ხილი სრულიად არა ყოფილა-რა. რა ხილი იცის-მეთქი, ვკითხე სახლის პატრონს ქალსა, და კარტოფილიო, მიპასუხა. კიტრი ამ ჟამად 100 14 კაპეიკად იყიდება. ნესვიცა სცოდნია აქაური და ეს არის და ეს. მაჟალო ვაშლი რა არის, ისიც არსადა ყოფილა მთელს ტომსკის გუბერნიაში.

ცხოვრება სტუდენტებისათვის ძლიერ იაფი ყოფილა: სადილი იაფ-ფასიანს სასადილოში, სადაც მეტის-მეტად სუფთად აკეთებენ ყველაფერს, ისე რომ ზოგს პროფესორსაც-კი მიაქვს იქიდგან სახლში, ღირს ორი თავი თთვეში 3 მან. 30 კაპ. ოთახი სამოვრით 5 მანათი თთვეში. სამი მანათიც ჩაი-შაქარი და სარეცხი ჩავაგდოთ. ეს არის სტუდენტისათვის ყოველ თთვიური ხარჯი. სხვა დარჩა წიგნები, მუნდირი (30 მ.) და სწავლის ფული 100 მან. თუ კარგად ისწავლა კაცმა, შეიძლება სწავლის ფული აპატიონ, ნახევარი მაინც. სულ ხუთებიანს სტუდენტს აუცილებლად შეუძლიან ორს წელიწადზედ და ზოგჯერ ადრეც სტიპენდია მიიღოს. სტიპენდიანტებისათვის აშენებულია ცალკე სახლი (домъ общежитья), სადაც ორს სტუდენტს ეძლევა ერთი ოთახი და სადილი. მუნდირისა და სადილის ფულს ურიცხავენ და დანარჩენს ფულად აძლევენ, მგონი 4—5 მანეთს თთვეში. დაწვრილებით ტომსკს მერმე აგიწერთ, როცა უფრო კარგად გავიცნობ აქაურობას.

*** გაზ. „Пет. Вѣд.“ იუწყება, ვითომ რუსეთის ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ი. ა. ვიშნევრადსკი თავისს თანამდებობას თავს ანებებს და მის მაგიერად დანიშნული იქმნება სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ს. ვიტტე, ხოლო ვიტტეს ადგილას დანიშნული იქნებაო ამავე დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი ვ. ი. ტიმირიაზევი.

*** ბათუმში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ 28 თიბათვეს გამართულის ლატარია-ალეგრიდგან შემოვიდა: 1, მოსაგების ბილეთების გასყიდვიდგან 616 მ., 65 კ., 2, ბაღში შესასვლელის ბილეთებისგან 181 მ. 49 კ., 3, ლატერიისგან დარჩენილის ნივთების გაყიდვიდგან 46 მ., 65. კ., და 4, ფულად შემოწირულებათაგან 170 მ., სულ 1014 მ., 79 კ., დაიხარჯა: 1, ნივთების ყიდვაზედ 160 მ., 70 კ., 2, აფიშებისა და ბილეთების დაბეჭდვაზედ 21 მ. 3, ბაღის მოწყობაზედ 39 მ. 78 კ., 3, მუსიკისა და მომღერალთა ქირა 40 მ., 4, წვრილმანი ხარჯი 17 მ., 48 კ.. სულ 278 მ., 96 კ., წმინდა შემოსავალი დარჩა 735 მ., 83 კ.

ამასთანავე „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა ვალდებულად რაცხს თავის თავს განუცხადოს გულითადი მადლობა: ქ-ნს მ. ღლონტისას თაოსნობისათვის, ქ-ნთა ნ. დ. ქიქოძისას, ლ. და ა. ჩხიკვაძეს, ნ. ი. გედევანოვისას, კლ. ა. სევერინისას, მ. მაჭავარიანისას, ნ. პ. მაჭავარიანისას, ე. ნ. გინკულოვისას, ი. ვ. ლოპატინს, ს. ი. ვ. ი. და ე. ი. მედინსკის, მ. ე. გოგიჯანოვისას და ბ-ნთ ა. ს. გინკულოვს, ს. ნ. უთნელოვს, ა. ნ. ციციანოვს, ე. ნ. ნიკოლაევს, ო. დ. წულუკიძეს, ბ. დ. კლდიაშვილს, ა. ი. გოგიჯანოვს, პ. შ. ჭყონიას, მ. ტ. ნიკოლაევს, ს. ა. გრიაზნოვს—დახმარებისათვის ლატარია-ალეგრის გამართვაში; შემოწირულობისათვის ფულად: ოც-ოცის მანეთისა ბ-ნთ რიხნერს და საბაევს, თხუთმეტ-თხუთმეტის მან. ბ-ნ დუმბაძეს და კახიანს; ათ-ათის მან. ბ-ნთ შახბაზოვს, პარაჩას, ვოლტერ ფრუმს, დენეის და კომპ., ვარშავსკის; ხუთ-ხუთის მან. ბ-ნთ ბუგჰარდტს, მატიევიჩს, ლომინაძეს, ი. შახნაზაროვს, ვ. პ. ფარუენს, ბლეის, ანგელიდის, დ. გამყრელიძეს; ოთხის მან. ბ-ნს სანიკიძეს, სამ-სამის მან. ბ-ნთ ბიალუჟსკის, ბიხოვსკის, ზაიდელს, კუზიატინს, რეჯიბ შაშიკოღლის; ორ-ორის მან. ბ-ნთ ნ. ბახტაძეს, ჯ. შავდიას, ად. გუგუშვილს ს. ქუთათელაძეს, ს. ქადეიშვილს, ანტ. ბერიძეს; თითო მანეთისა ბ-ნთ კანდიტესკის, ვოლკოვს, კ. თოფურიას, ს. მელიცკურს, ფ. კუხალაიშვილს, ა. მიდოევს, ას. ჭანტურიას, ე. მანტორის, გ. იულიას, მ. გოგინოვს; სამის აბაზისა ბ-ნს კრიტიკოსს, ათ-ათის შაურისა ბ-ნთ გ. ომიაძეს, ალ. არუთინოვს, კ. კაკაბაძეს, პ. ხოშტარიას, ა. პაჩულიას, რ. პ., მიხაკოს, ვიზიროვს; ორის აბაზისა ბ-ნს მ. არაქელოვს; ექვს-ექვსის შაურისა ბ-ნთ ნ. ჯაბუას, ხუნცარიას; თითო აბაზისა ბ-ნთ ად. დანელიას, სანაძეს, შალამბერიძეს, ეშანაიძეს, ბაინდუროვს, სურმავას, ბერიკიას; ნივთებად შემოწირულობისთვის: კედლის საათისა ცეიტლინს, 2 ბოთლის შამპანურის ღვინისა დიასამიძეს, შამპანურის ღვინისავე: ვაჩეშვილს, ნაქარგის ტუფლებისა: არკასს, თხისა: ბ. ს. ქუთათელაძეს, აბრეშუმის ცხვირ-სახოცისა ბ. იტალოს, სურათისა: პუპის, მაღვიძებელისა: სამის სარკისა და ექვსის ცალის ხელსახოცისა ქ-ნს მ. კ. მხეიძისას, სამოვრისა: ბ. პიპიას, 2 ყვავილების ვაზისა მ. ბარკალაის, ერთის პირსაბანებელისა ეფ. სტ. კიურაძეს და სხვა-და-სხვა ნივთებისა ბ-ნთ სადრაძეს, ბაღდასაროვს, ნიკოლაძეს, ს. თათარაშვილს.

## ხოლერის საწინააღმდეგო ვაქცინის (ჩირქის) აცრა.

გამოგონილი
ბ. ვალდემარ-მარდოხე ჰავკინის
მიერ *)
(ტეხნიკური სამიკრობო ლაბორატორია პასტერის ინსტიტუტში პარიჟს)

მთელის ქვეყნის სწავლულების ყურადღება ამ ჟამად მიქცეული აქვს ბ-ნს ჰავკინს, რომელმაც წარსულის აგვისტოს 4 (16) პარიჟის საბიოლოგიურს საზოგადოებაში თავისი მოხსენება წაიკითხა ცხოველებისათვის ხოლერის საწინააღმდეგო ვაქცინის აცრის შესახებ. ეს ვაქცინა სცადა რა ცხოველებზედ და კარგად გამოიყენა, შეუდგა ახლა იმის ცდას—გამოდგება თუ არა ადამიანისათვისაო. დიძნელი საცდელი იყო ეხლა. მაგრამ კაცობრიობისა და მეცნიერების განუსაზღვრელის სიყვარულით გამსჭვალული არ შედრკა და ჯერ თავის თავზედა სცადა... ხოლერის შხამის ძალა. ყველასთვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გამბედაობა გამოიჩინა ამითი ბ-ნმა ჰავკინმა. სწორედ რომ კაცობრიობის სანაცვლოდ გაიწირა თავი. მაგრამ დახე ბედსა! თითონაც მშვიდობით გადარჩა და თანაც იმედი გაუსკეცდა, რომ ეს წამალი მთელს კაცთა ნათესავს გაუწევს სამსახურსაო. ამის შესახებ თავისი მოხსენება ბ-ნმა ჰავკინმა იმავე საბიოლოგიო საზოგადოებას აგვისტოსავე 18 (30) წარუდგინა. ჩვენ ხელთა გვაქვს ფრანგულს ენაზედ ეს ორივე მოხსენება. „ივერიაშიაც“ მოკლედ ორიოდე სიტყვით იყო ნათქვამი ბ-ნ ჰავკინის მიერ მოგონილს აცრის შესახებ. ჩვენის აზრით, საინტერესო უნდა იყოს „ივერიის“ მკითხველებისათვის დაწვრილებით ცოდნა ბ-ნ ჰავკინის მეორე მოხსენება—სახელდობრ ის, რომელიც ადამიანის აცრას შეეხება. ამიტომ სიტყვა-სიტყვით, უკლებლად ვსთარგმნით ამ მოხსენებას.

—

„ზღვის გოჭებსა, ბაჭიებსა და მტრედებზედ ცდამ გვიჩვენა, რომ ჩვენ მიერ მოგონილს ხოლერის საწინააღმდეგო ვაქცინას (ჩირქი) იგივე ზედ მოქმედება აქვს სხვა უფრო ღონიერის აგებულობის ცხოველებზედაც. ამ გარემოებამ წაგვაქეზა და გადავწყვიტეევით ადამიანისათვისაც აგვეცრა.

6 (18) აგვისტოს ხოლერის საწინააღმდეგო პირველი (სუსტი) ვაქცინა, უფრო მომეტებულის წონისა ვიდრე ზემოთ დასახელებულ ცხოველებისათვის იყო საჭირო, შევიშხაპუნე მარცხენა გვერდში. ამ აცრამ უქეიფოდ გამხადა და ამ უქეიფობამ მთელი 24 საათი გასტანა. ეს უქეიფობა იმაში მდგომარეობდა, რომ სიცხემ 36. 6 გრადუსიდგან 37. 5°-მდე აიწია, ციების მსუბუქი ნიშნები გამომაჩნდა (თავის ტკივილი, პირის სიმშრალე, შარდის ფერისცვლა) კუჭ-ნაწლევებში-კი არავითარი ტკივილი არ მიგრძვნია. ანაცარი ადგილი ამტკივდა, ხორცის კანი და გვერდი ოდნავ გამისივდა.

„მეხუთე დღეზედ ტკივილმა სრულიად გამიარა, სიმსივნე-კი არ დასცხრა, მხოლოდ 4 დღის უკან თანდა-თან გაჰქრა.

„ამას შემდეგ ეს წამალი ვსცადეთ სხვებზედაც, რომელთაც-კი თანხმობა გამომიცხადეს. და აი ამ ნაცადის შედეგი:

„ჯერ, 12 (24) ამა თთვისას, 6 დღემ რომ გაიარა, რაც პირველად ავიცარი, მარჯვენა გვერდში შევიშხაპუნე უფრო ძლიერი ხოლერის შხამი, რომელსაც შეადგენს ჩვენი მეორე ხოლერის საწინააღმდეგო ვაქცინა. ამ აცრის შემდეგ სიცხემ მიმატა და ანაცარი ადგილიც ამტკივდა, მაგრამ არ გასიებულა-კი; არ გასიებულა აგრეთვე გვერდიც. სიცხემ 38°,6-მდე აიწია. 28 საათის განმავლობაში ისევ კარგად გავხდი და ტკივილი-კი სამის დღის უკან გამიქრა. კუჭ-ნაწლევები ისევ საღადა მქონდა.

„10 (22) ამა თთვისას ბუტერბურღელს ექიმს, ბ-ნს იაველნს, 17 კილოგრამით ჩემზე ღონიერის აგებულობის კაცს, შევუშხაპუნე ხოლერის საწინააღმდეგო პირველი ვაქცინა იმ წონისა, რა წონისა მე თვითონ ავიცარი. ვაქცინას მიერ გამოწვეულმა უქეიფობამ 5საათში გაუარა. სიცხე 37°, 2-იდგან 37°,6 უწია. მესამე დღეზედ სიმსივნე თითქმის მთლად გაუქრა; მეოთხე დღეს ხელი რომ დაგეჭირათ, მხოლოდ მაშინ ოდნავ-ღა ეტყობოდა ანაცარი ადგილი. 6 დღემაც გაიარა და ყოველი ნიშანი მოესპო; მეშვიდე დღეზედ-კი ვცადეთ უფრო მძლავრის ჩირქის შეშხაპუნება.

„ამ ხელად ცვლილებამ თითქმის უგრძნობლად ჩაიარა. 3 საათს უკან სიცხე 37°,2-დგან 37°,4 უწია და მერე 5 საათში 36°,9 ჩამოვიდა. ანაცარ ადგილის ტკივილი უფრო არასაგრძნობი იყო, ვიდრე პირველის აცრის დროს. სხვაფრივ ანაცრილს არა დასტყობია-რა.

„13 (25) ამა თთვისას ტფილისის ქალაქის ექიმს ბ-ნს თამამშოვს, ჩემზედ უფრო მომცრო ტანისას, შევუშხაპუნეთ პირველი ვაქცინა $^4/_5$ იმ წონისა, რომელიც მე თითონ შევიშხაპუნე. ჩვენ შორის განსხვავება ის იყო, რომ შხამის შეშხაპუნების დროს ბ-ნს თამამშოვს 38° სიცხე ჰქონდა. 8 საათის განმავლობაში სიცხე 39°,1-მდე აიწია, მეორე დღეს-კი 37°,7-ზედ ჩამოვიდა; შემდეგ ანაცარ ადგილის სიმსივნე და ტკივილი თანდათან უცხრებოდა, როგორც წინადაც შევნიშნეთ. კუჭ-ნაწლავებში არავითარი ცვლილება არ უგრძვნია, მხოლოდ შეშხაპუნების მეორე დღეს მუცელში ცოტა შეჰკრა და ამანაც ისევე ჩქარა გაუარა.

ამავე რიცხვს ე. ი. 13-ს (25), პირველი ვაქცინა შევაშხაპუნე ბ-ნს ვილბუშევიჩს, მოსკოველ მეურნეს, რომელიც ბ-ნ თამამშოვზედ უფრო წვრილის ტანისა იყო, წამალი-კი იმდენივე იყო, რაც ამ უკანასკნელზედ ვიხმარე. წამალი მარცხენა გვერდში შევუშხაპუნე. ეს ცდა-კი იმითი იყო შესანიშნავი, რომ ბ-ნ ვილბუშევიჩს წინა დღეებში სტომაქი ცოტათი მოშლილი ჰქონდა. სიცხემ 38,5°-მდე უწია, მეორე დილას 37,4°-მდე ჩამოვიდა, მაგრამ სიმსივნემ და ანაცარ ადგილას ტკივილმა-კი მეოთხე დღემდე გასტანა. აცრამ არ დაუშალა და სტომაქი აცრის მეორე დღესვე რიგიანი ჰქონდა.

ყოველი ამის შემდეგ იმ დასკვნას დავადექი, რომ ორივე ხოლერის საწინაღმდეგო (სუსტი და მძლავრი) ვაქცინა, რომელთაც ძალა ხოლერის სენისაგან უზრუნველ ყოფისა ცხოველებზედ ნაცადიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის სრულიად საშიში არ არის, და, მაშასადამე, შეიძლება ადამიანზედაც უშიშრად ვიხმაროთ. ამავე დროს ვიმედოვნებ, რომ აცრის ექვსის დღის შემდეგ ადამიანის სხეული სრულიად უზრუნველ ყოფილია ხოლერის სენისაგან და ეს სენი მას ველარ გადაედება.

აქავე უნდა დივსძინოთ, რომ ჰავკინისებური წესი ხოლერის აცრისა და მისის გადადებისაგან ადამიანის უზრუნველ-მყოფელობისა პროფესორმა რუმ (Roux) და თვით გამოჩენილმა პასტერმაც ძალიან მოიწონეს თურმე. ღმერთმა ჰქნას, რომ ამათსავე ჰაზრს დასდგომოდნენ სხვა მსწავლულებიც კაცობრაობის სადღეგრძელოდ და საკეთილდღეოდ.

თ. სახოკია

*) ჰავკინი რუსეთის ებრაელია; სწავლა დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ნაწილზედ ბუნების მეცნიერების კანდიდატად. აქავე უნდოდა პროფესორობის კათედრა დაეჭირა, მაგრამ, როგორც ებრაელთა შთამომავლობისას, უარი უთხრეს. 1888 წ. შვეიცარიაში ჟენევის უნივერსიტეტში გამოჩენილის ფიზიოლოგოსის შიფის ასისტენტად იყო· იქიდგან 1889 წ. პარიჟში პასტერის ინსტიტუტის ლაბორატორიაში შევიდა, სადაც დღემდე ჰმუშაობს. რუსეთში იგი ცნობილია, როგორც ნიჭიერი მთარგმნელი კლაუსის ზოოლოგიისა, რომელიც უნივერსიტეტებში სახელმძღვანელოდ არის მიღებული. ჰავკინი ჯერ ახალგაზდა კაცია—სულ 30 წლისაა.

## მეცნიერებისთვის წამებულნი

### წიგნის-მბეჭდველნი.

რაც სწავლულთ აღმოაჩინეს და გამოიკვლიეს, სუყველა ეს სასურველ სარგებლობას ვერ მოუტანდა კაცობრიობას, თუ რომ გამონაკვლევის დაბეჭდვა არ შეგვეძლოს და ამის შემწეობით სისწრაფით და ადვილად იმისი ხალხში გავრცელება.

წიგნის მბეჭდაობა მოიგონა გუტენბერგმა. იგი დაიბადა 1401 წ. რეინის მაინცს. 19 წ. რომ შესრულდა, გუტენბერგი გამოაგდეს სამშობლო ქალაქიდგან. ამას შემდეგ დაიწყო ხეტიალი მთელს ევროპაში. წიგნის მბეჭდაობის აზრი მოუვიდა ჰარლემში. მაშინ წავიდა სტრასბურგს და აქ დიდის ხნის მუშაობისა და კვლევა-ძიების შემდეგ მოიგონა კიდეც ასოების ხეზედ ამოჭრა და იმათი შეერთება მავთულით. წიგნების ბეჭდვის დაწყებას ფული უნდოდა და თავათ-კი ერთი ფარაც არ მოეძევებოდა. ამიტომ ერთი კაცი დაიამხანაგა; მაგრამ ამხანაგი ჩქარა მოუკვდა და ამის შვილებმა დაუწყეს ჩივილი გუტენბერგს. მამა ჩვენმა მოიგონა წიგნის ბეჭდვა და ჩვენვე უნდა ვისარგებლოდ ამ საქმითაო. გუტენბერგი დაიჭირეს. მოსამართლეებს ძლიერ უნდოდათ ბეჭდვის საიდუმლო გაეგოთ და დაუწყეს იმას სხვა-და-სხვა ნაირათ გამოკითხვა. გუტენბერგმა გამტყუნება არჩია საიდუმლოს გაცემას და ამიტომ იგი გაამტყუნეს. წავიდა სტრასბურგიდგან გამტყუნებულ-გაკიცხული ისევ თავის სამშობლოში. აქ მიიამხანაგა ფაუსტი და შეფფერი და ერთად დაიწყეს საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვა. მაგრამ ფაუსტი და შეფფერიც დიდი უპატიოსნონი გამოდგნენ, შეისწავლეს წიგნის ბეჭდვა და გუტენბერგი-კი გააგდეს ხელ-ცალიერი. მაშინ მაინციდგანაც გაიქცა და დაიწყო ისევ აქეთ-იქით წოწიალი. უკიდურესს მდგომარეობაში ჩავარდა, მთლად გასაწყლდა გუტენბერგი, თავის რჩენაც-კი ველარ შეეძლო. ამ დროს შეიბრალა იგი ნასაუსის კურფირსტმა, პრინცმა ადოლფმა, და მიიყვანა თავისთან. მოკვდა გუტენბერგი 69 წ. ღატაკად, გროში არ დაუტოვებია, თუმცა იმავე დროს სხვები მდიდრდებოდნენ იმისის გამონაგონ-აღმონაჩენით.

ასეთივე ბედი ხვდა შესანიშნავს სურათების ამომჭრელს, ალბერტს დიურერს. გააუკეთესა ასოების ამოჭრა ხეზედ, ვერცხლზედ, ბევრი გააკეთა არხიტექტურასთვისაც, მაგრამ მოკვდა გლახაკად და საწყლად 58 წლისა.

იტალიაშიც ვერ იბოგინა წიგნის ბეჭდვის საქმემ. 1490 წ. დააარსა ვენეციაში შესანიშნავი სტამბა ალდო მანუჩიმ. მანუჩის მხოლოდ ის უნდოდა, რომ სარგებლობა მოეტანა წიგნების ბეჭდვით მოსწავლეებისთვის. მართლაც, დაბეჭდა მთლად თხზულებანი არისტოტელისა, დაამზადა დასაბეჭდად თხზულებანი პლატონისა, ჰიპოკრატისა, მაგრამ ამ დროს დაიწყო ომი და იძულებულ იყო დაეკეტნა სტამბა. გაძარცვა არ აკმარეს საწყალს, კიდეც დაიჭირეს და საპყრობილეში ჩააგდეს. როცა განთავისუფლდა, ისევ მოჰკიდა ხელი თავის საყვარელს საქმეს. 25 წ. ემსახურა ამ საქმეს, ზედ შეალია თავისი ქონება და მოკვდა 66 წლ. ისე,

რომ არაფერი არ დაუტოვებია თავისის შვილებისთვის....

მაგრამ ყველა ამათზე სასტიკად დაისაჯა ეტიენ დოლე, რომელმაც გაალო სტამბა საფრანგეთში. ბევრი კარგი წიგნი დაბეჭდა, მაგრამ გაუნათლებელმა თანამედროვეებმა ამ საქმისათვის ურჯულოება და ერეტიკობა შესწამეს, ბევრს ხანს აწამეს და სტანჯეს დოლე, იქნება დაასახელოს ამხანაგებიცაო. შემდეგ ავაზაკივით ჩამოარჩეს და იმისი სხეული მოედანზედ დასწვეს. დოლემ ვაჟკაცურად აიტანა ეს ტანჯვა. ის ჩამოარჩეს 37 წლ. დოლემ დასტოვა უმოწყალოდ დიდს სიღარიბეში საყვარელი ცოლი და შვილი. ბევრი მსხვერპლი შეიწირა წიგნის ბეჭდვის საქმემაც, სანამ გზას გამოიკვლევდა და გამოიგონებდა ქვეყნად.

ზ. ფრონელი

## წერილი რედაქციის მიმართ

Новое обозрение-ს მე 2973 №-ში იყო კორესპონდენცია ბათუმიდგან, რომელშიაც სხვათა შორის ეწერა: „Энергія нашихъ муниципаловъ проявилась и въ томъ, что они недавно издали прказъ запереть санитара Сулейманъ-бека въ одинъ изъ лазаретовъ, для того, чтобы убѣдить въ томъ, что тамъ лечатъ а не убиваютъ людей“, და სხვანი.

არ ვიცი, რა უნდოდა ეთქვა ამით ავტორს; ალბად ჩემი დამცირება უნდოდა, ან ჩემი ჯავრი თუ სჭირს. აი საქმის ვითარება: როგორც საქართველოს სხვა ადგილებში, აგრეთვე ჩვენს ბათუმშიაც მოვიდა რუსეთიდგან ხმა, რომ ექიმები და სანიტარები ხალხსა ჰხოცავენო და ტყუილადავრცელებენ ამბავს, ვითომ ხოლერა გაჩნდაო.

ერთხელ სულეიმან-აღა-როსტომ-აღა-ზადე მოწყენილი იჯდა თავის კარების წინ და ცოტა თავი სტკიოდა. ამ დროს გამოიარა ვიღაცა რუსმა და ჰკითხა: უქეიფოთ ხომ არა ხარო. სულეიმანმა უპასუხა, „დიახ თავი მტკივაო“. ამ უცნობმა რუსმა ამოიღო ჯიბიდგან შუშა და უნდოდა სულეიმანისთვის ესუნებინა. სულეიმანმა იფიქრა, ალბად ჩემი მოწამლვა უნდაო და შეუტია. რუსი გაიქცა.

ამ შემთხვევის მესამე დღეს ბათუმში მობრძანდა გუბერნატორი, რომელსაც ეს ამბავი გაეგო. გამგეობაში დაგვიბარა მაჰმადიანები და აგრეთვე სულეიმან-აღა-როსტომ-აღა-ზადე, რომელსაც გამოჰკითხა საქმე და უთხრა, უჩივი მას, თუ არაო. პასუხად მოახსენა, მე არავის არ ვუჩივიო. მერე გუბერნატორმა ხალხის დასამშვიდებლად გვირჩია ქართველ მაჰმადიანებს: თქვენში ერთი ვინმე ამოარჩიეთ მაჰმადიან ქართველი სანიტრადაო, ისეთი ვინმე რომელსაც ყველანი ენდობითო. ხალხმა ინება ჩემი ამორჩევა და მეც უარი აღარ ვუთხარი და გუბერნატორს გამოვუცხადე თანხმობა. მართლაც მას შემდეგ, რაც მე დამნიშნეს, ხალხი დამშვიდდა და დღესაც არავის არ ეშინიან.

ერთი მიბრძანეს, რას ჰხედავთ ამაში ცუდს ახოვზრენიის კორესპონდენტი: იმას, რომ ხალხი მე უფრო მენდობა და თუ იმას, რომ ხალხი დავამშვიდე?...

სულეიმან-ბეგ.

28 აგვისტოს
ქ. ბათუმი.

## პეტერბურგის ბირჟა, 1 სექტე.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7_{,84}$ | $7_{,88}$ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | $156^1/_2$ | $157^1/_2$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | $1_{,08}$ | $1_{,10}$ | — „ |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 236 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 217 | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | $191^1/_2$ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀ . . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀ . . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀ . | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀ . . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

### ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

### ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

### ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაითს.

### ფოთიდგ გადის:ნ

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით-დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთი-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნ ი ხ რ ი

1892 წ. 3 ენკენისთვიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „
ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 7 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 12 „
ცხვრის ხორცი — — 7 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. გ. „
მე-2 ხარ. ტყავიანად „

# განცხადებანი

15 სექტემბრიდამ ამა წლისა იქმნებიან წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯან-მრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს (მომრიგებელი მოსამართლეა ქალაქ თბილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული ამოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრობა და სასოფლო-მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

სკოლაში მიიღებიან ისეთი მოზრდილი ყმაწვილებიც, რომელთაც სწავლა სხვა სასწავლებელში გაუთავებიათ და სურვილი აქვთ სასოფლო მეურნეობა შეისწავლონ და ფერმაში ივარჯიშონ.

შორის მხრიდგან მოყვანილ ყმაწვილებისთვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია ჯერ-ჯერობით თთვეში შვიდი მანათი. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი, თითო კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: ნახევარის წლის შესანახი ფული 42 მანათი პირველ სექტემბერს და მეორე ნაწილი, 42 მანათი, პირველ იანვრამდე. ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, მაშინ შეგირდი დათხოვნილ იქმნება სადგურიდგან და გაიგზავნება თავის მშობლებთან. ამისთვის მშობლებმა, მანამ შვილს მიაბარებენ სასწავლებელში, წინადვე სკოლაში უნდა შემოიტანონ ყმაწვილის გასაგზავნად ერთი თუმანი.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი. ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. უკეთუ ყმაწვილი სადგურიდგან მეორედ ფულის შემოტანის ვადამდე გავა, იმას შემოტანილი ფული უკან არ დაუბრუნდება და დარჩება სადგურს სასარგებლოდ.

შეგირდები, ხოლერის გამო დათხოვნილნი, უნდა გამოცხადდნენ სკოლაში არა ადრე 14 სექტემბრისა, კარგად ჩაცმულ-დახურულნი, თან წამოიღონ საკმარისი ტანთსაცმელი და ზეწრები.

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.
საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—102)

### ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: მ. კ.

1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . „ 5
2) „ჩხუბი ერთი კევრცხისათვის“ ტოლსტოისა . „ 5
3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა . „ 5
4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. „ 80
5) „რამდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . „ 50
6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . „ 30
7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . „ 40

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლებლებთან.

### „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები მან. კაპ.

ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . „ 40
ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . „ 20
თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . 1 40
იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . 2 50
სამივე ტომი. . . . 7 „
სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . 1 80
თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . „ 20
მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . „ 20
წყალობა პოემა მისივე . „ 20
სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . „ 25
თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . „ 10
დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . „ 15
ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . „ 50
სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . „ 30
აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . „ 50
ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . 1 „
კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . „ 20
პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . „ 50
საყმაწვილო ამბები მისივე „ 40
ძმურ სიტიყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. „ 25
თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . „ 50
საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი „ 45
რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . . „ 25
სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა . . . „ 20
საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . 1 „
ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი. . . . . 1 50
ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . „ 40
ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . „ 55
თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . „ 60
თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . . „ 40
ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . „ 30
ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . „ 50
ლექსები გრ. ორბელიანისა „ 50
ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . „ 20
სურათი შ. რუსთაველისა „ 60
წმ. ნინოს ხატი . . . „ 50

Дозв. ценз. Тифлисъ, 3-го Сентября 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.